ISSN 0132-60

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადე, კაცო! მგონი, ვიღაც ვენახს გვიჩეხავს!.. არ გესმის?!.
— აჩეხოს რა, საზამთროს დავთესავ, უფრო სარფიანია!

გამოცემის 57-ე წელი, (№ 1578)· აგვისტო, 1980, ფასი 20 კაპ·

ნიანგი

16

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგობრული შარჟი თ. გოგოლაძისა

მხცოვანი ნიანგელი

ცნობილ ქართველ მწერალს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს— პროფესორ **სიმონ გაჩეჩილაძეს** დაბადების 80 წელი შეუსრულდა. ღვაწლმოსილი მამულიშვილის სახელი ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა ქართული საბჭოთა სატირისა და იუმორის ბიოგრაფიასა და ისტორიას.

სიმონ წეველის, მედუზას და სიმის ფსევდონიმებით გამოქვეყნებული მისი სატირულ-იუმორისტული ლექსები, მოთხრობები და თარგმანები „ნიანგის“ დაარსებამდე ჯერ კიდევ „ტარტაროზის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა, ხოლო ჩვენი ჟურნალის გამოსვლის დღიდანვე ბატონი სიმონი მის სათავეში იდგა — ჯერ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას.

„ნიანგის“ ძველ მკითხველებს კარგად ახსოვთ ხალასი ხალხური იუმორითა და გონებამახვილობით გამსჭვალული სიმონ წეველის სატირული ლექსების ციკლი „საცხა-ვინცხა“, „საცხა-რაცხა“ და უამრავი ნაკვესი თუ ნოველა, რომლებიც საერთო-სახალხო პოპულარობით სარგებლობდა.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივი და მკითხველთა მრავალათასიანი არმია მხურვალედ, სულითა და გულით ულოცავს მხცოვან ნიანგელს — სატირიკოსსა და იუმორისტს, ღვაწლმოსილ მეცნიერსა და დიდებულ ადამიანს სახელოვან იუბილეს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს მას!



ნახ. ჯ. [illegible]

— ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ჩვენი მუზეუმის მეცენატებს— ერთმა ფიცარი მოგვცა, მეორემ — აგური, მესამემ — თუნუქი, მეოთხემ...

ამაღელვებელი

ჩვენი კორესპონდენტი ამას წინათ შავ ზღვას ეწვია და ზღვაურის ენაზე ესაუბრა მას. ვაქვეყნებთ ამ ამაღელვებელ საუბარს.

კორ: — ბატონო შავო ზღვაო! დიდი ხანი არ არის, რაც აქ გადმოხვედით სამუშაოდ. როგორ შეეგუეთ ახალ გარემოს?

შ. ზღვა: — დიახ, სულ რაღაც ასეული მილიონი წელია, რაც აქ გადმოვედი. ახალ გარემოს თითქმის შევეგუე, ეგრეთ წოდებული აკლიმატიზაციის პერიოდი გავიარე.

კორ: — ადრე სად მუშაობდით?

შ. ზღვა: — ადრე ვმუშაობდი იქ, სადაც ამჟამად კავკასიონის მთაგრეხილია. შემდეგ დიდი გადაადგილებანი მოხდა და მე ერთ-ერთ ჩავარდნილ უბანში გამიშვეს. იცოცხლეთ, სტუმართმოყვრულად გავშალე მხრები! წაგიკითხავთ, ალბათ, ჩემი მემუარები, „პონტოს ევქსინოს“ ფსევდონიმით რომ ვთხზავდი!

კორ — ახლაც ძალიან დატვირთული ხართ?

შ. ზღვა: — რა თქმა უნდა! სამუშაო ძალიან ბევრია!

კორ: — თქვენ, ძირითადად, ტალღებს აწარმოებთ. როგორ მიდის საქმე?

შ. ზღვა: — დიახ, ძირითადად მაინც ტალღებს, კერძოდ, ლივლივა ტალღებს ვაწარმოებ.

კორ: — თქვენმა ტალღამ, ამას წინათ, ტალღათა საზღვაო და საოკეანეთაშორისო კონკურსზე საპატიო ჯილდო მოიპოვა. ხომ არ გვიამბობდით, ორიოდე სიტყვით, ამასთან დაკავშირებით რაიმეს?

შ. ზღვა: — მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდი!.. მაგრამ, რომ გავიგე, ჩემი ტალღების წარმომადგენელმა უმა-

ნახ. ე. ვედერნიკოვისა („კროკოდილი“).

— ჩამოდი ძირს, მე შენ გეუბნები! მაგ ადგილზე ბილეთები გვაქვს ნაყიდი!..

სტეფან ოლეინიკი
(უკრაინა)

„მეოთხე ლეიბი!“

ელავს ტურბაზის გუმბათი,
ჩოგბურთის კორტი ბრწყინავს!..
„კომფორტი“ ჰქვია სასტუმროს,
სადაც დავიდე ბინა.

არ ვმალავ: თბილად მიმიღეს,
ვთქვი — **„გამიმართლა მაშვრალს“!**
დილით ჩამომხტარს, საღამოს
მელირსა საბნის გაშლა!..

შემხედეს, ამწონ-დამწონეს,
**„შმაგს არ ჰგავხართო, მაგრამ
ჩვენი სასტუმროს კანონებს
გაეცანითო კარგად!“**

უცხოური იუმორი

— ვეცდებით, ისე იგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ ოჯახში! — უთხრა სანატორიუმის დირექტორმა დამსვენებელს.
— რას ამბობთ?! მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი! — მიუგო შეშფოთებულმა დამსვენებელმა.

●

— რატომ შემოდის ხოლმე ეს ცხენი ასე ხშირად ჩემს ოთახში?
— იმიტომ, რომ ეს მისი ზამთრის სადგომია! — განუმარტა პატარამ.

●

აბარაკზე ოთხი დიდი ჩემოდანი წაიღეს. მატარებელი რომ დაიძრა, მამამ თქვა, კარგი იყო, საწერი მაგიდაც წამოგველოო.
— რა საჭირო იყო? — ჰკითხა გაკვირვებულმა დედამ.
— იმაზე ეწყო ჩვენი სამგზავრო ბილეთები! — აუხსნა მამამ.

●

— ეს რა საძაგლობაა?! თქვენი ძაღლი მთელ ღამეს ყეფდა ჩემს სარკმელთან! — უთხრა აღელვებულმა მოაგარაკემ სახლის პატრონს.
— ნუ წუხართ, გეთაყვა, დღისით გამოიძინებს!

გადმოაქართულა შოთა ამირანაშვილმა

ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

საუბარი სანაპიროზე

ლლესი ჯილდო — „ოქროს კენჭი“ დაიმსახურა, დიდად გავიხარე!.. ეს კიდევ უფრო მეტს მავალებს.

კორ: — თქვენს ტალღებში ნაბანავები ტანი გამოირჩევა კანის სინაზით, მოქნილობით...

შ. ზღვა: — დიახ, ეს არაერთხელ აღნიშნულა კანის საერთაშორისო ფესტივალზე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა მოვახსენო მზეს, რომელიც ესოდენ უხვად მამარაგებს სხივებით და ხელს მიწყობს მუშაობაში! მარტო გასულ წელს ჩემი ნაპირების სტუმრებმა ორ მილიარდ ტონაზე მეტი მზის სხივი მიიღეს.

კორ: — როგორ გადაწყდა ულტრაიისფერი სხივების პრობლემა?

შ. ზღვა: — ეს პრობლემა ამჟამად არ არსებობს!

კორ: — ჰო, მართლა: ალბათ, იმასაც თქვენს მოწყალე მზეს უნდა უმადლოდეთ, რომ მის სხივებში ნელ-ნელა „ზაგარს იღებდით“, ესე იგი, შავდებოდით!..

შ. ზღვა: — რასა ბრძანებთ?! ეს ძველად იყო, როცა ჯანსაღი „ზაგარი“ მქონდა და, ევქსინო-სტუმართმოყვარის ნაცვლად, შავი რომ მიწოდეს, არც კი მწყენია. სიშავე ახლა მჭირს, თუ მჭირს: ჩემსა და ჩემი დების — მდინარეების ნაპირებზე გაშენებული ქარხნებიდან იმდენი საშინელება — ჭუჭყი და მაზუთი მერევა ხოლმე, რომ ჩემივე აბაზანებიც ვერ მშველის ახლა იმ ვეებერთელა გემებს აღარ იტყვით, ტანკერებს რომ ეძახიან და გულ-მუცელს ჩემს აუზში ირეცხავენ?!. ზოგჯერ სიმწრით მეცინება, როცა ვხედავ, მობანავეები ჩემს ლივლივა ტალღებში ცურვის შემდეგ მაზუთს კენჭებით როგორ იფხეკენ სხეულიდან. ჰოდა, ალბათ, აწი ველარასოდეს მოვიცილებ შავის სახელს!

კორ: — სხვა არაფერი გაწუხებთ?

შ. ზღვა: — როგორ არა. ახლა ჩემი ნაპირები ხალხითაა სავსე და გულისტკივილით ვუყურებ, თუ როგორ ფუჭად იკარგება ყოველდღიურად ასობით ლივლივა ტალღა და ასევე ასობით კონა მზის სხივი ქრება უკვალოდ. არ ვიცი, ადამიანები ამ დროს რითი არიან გართულნი?! ალბათ რაღაც პრობლემები ჯერ კიდევ მოუგვარებელია იქ, სანაპიროზე!..

შარშან, ტალღათა მეთვრამეტე სიმპოზიუმზე, დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ვფიქრობთ, მდგომარეობა გამოსწორდება. განსაკუთრებით ცხრაბალიანი ტალღები არიან ამ საკითხით დაინტერესებული.

კორ: — ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი იყო თქვენთან საუბარი, ბატონო შავო ზღვაო! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას!

ნოდარ ბართაია

დავჯექ და წვრილად ვიკითხე:
„სასტიკად ვკრძალავთ (სწორად!) —
სკამ-სავარძლების მტვრევას და
ტახტიდან თავით ხტომას!“

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?! —
აკრძალვის მსხვერპლი ვხდები:
მე ხომ სკამს ვამტვრევ სუყველგან?!
ტახტიდან თავით ვხტები?!

რა სამარცხვინოდ ვდედლდები!
ჰქუხს განაწესი — **„ფრთხილად!**
არ დაჩხაპნოთო კედლები
დანით, მაკრატლით, ფრჩხილით!

ღრღნას ფანჯრებისას შეეშვით!
ნუ შემოიტანთ ვირუსს!
მკაცრად გაფრთხილებთ: ნომერში
ნუ იყოლიებთ პირუტყვს!“

არადა, როგორ მინდოდა.
(წესით — წელს, არა — გაისს)
მყოლოდა ჩემთან, ოთახში,
თხა, ანდა ძროხა მაინც!

მივხვდი, რატომაც კრძალავენ! —
ჩვენთვის იკრებენ აზრებს:
ხახამშრალია ონკანი;
პირუტყვი უწყლოდ გაძლებს?!

ორი დღის მეტი ვერ გავძელ,
ვიხმე მორიგე ქალი:
„მივდივარ, ნომერს ვაბარებ,
ხომ არ მედება ვალი?!“

მკაცრად, გულდასმით გამჩხრიკა
(შიშს სიყვარული შეიქმს!)
„გამოუწერეთ!“ — გასძახა. —
„საშვი მეოთხე ლეიბს!“

რას ვდიდგულობდი, ვინ ვეგდე,
რა რჯულისა და ფერის?! —
თურმე **„მეოთხე ლეიბი“**
ვიყავ, — სხვა არაფერი!

თარგმნა არა ჩემიამ



ნახ. ი. ყუინაშვილისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგი ცხაკაიელებისა

აბა, სი გიჩქუ, ცხაკაიელეფი!..

რადგან ავკარგიანობა ერთი სიგყვაა და ორ საპირისპირო აზრს მოიცავს, ჩვენ შევეცდებით ორაზროვნად კი არა, პირდაპირ მოგახსენოთ, რა ვნახეთ ცხაკაიას რაიონში, რა მოვისმინეთ და რას მოვკარით ყური თუ თვალი.

გულისცემა: ჩაი!

გეგმა — 11.250 ტონა! 15 ივნისისათვის მოიკრიფა და ვეშაპივით ხახადაღებულ ფაბრიკებს ჩაბარდა 4.431 ტონა, რაც 52 ტონით მეტია შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე!

ხარისხი: პირველი! (შიგადაშიგ მეორეც).

რაიონის მრეწველობა სულ 38 დასახელების პროდუქციას უშვებს, ძირითადად — კვების, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს.

რაიონმა მიმდინარე წლის 5 თვეში გამოუშვა 26046,3 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც გეგმის 103 პროცენტს შეადგენს. მათ შორის 458 ათასი მანეთის პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა!

ცხაკაიური ხალიჩა? — ნამდვილად კარგი რამ არის! — წამოგორდი ზედ და სვი ჩაი. მით უმეტეს, თუ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 106,1 პროცენტით არის შესრულებული, მთლიანი პროდუქციისა კი, — 104,3 პროცენტით, თუ, 1978 წელთან შედარებით, გამოშვებულია 87,3 ათასი კვადრატული მეტრით მეტი ხალიჩის ნაწარმი და 180 ტონით მეტი ნართი, მაგრამ წამოსაწოლად ცხაკაიელებს მაინც ვერ მოუცლიათ!—რაიონში ბევრი საქმეა და საქმის კარგად მკეთებელიც, მაგრამ უსაქმურებიც და საქმოსნებიც მოიძებნებიან! ამ შემთხვევაში მათს გამომზეურებაში დამოუკიდებელი ინიციატივა არ გამოგვიჩენია. ავკარგიან ცხაკაიელთა გაცნობა პირდაპირ პარტიის რაიკომის პირველი მდივნის **ვახტანგ ესვანჯიას** კაბინეტიდან დავიწყეთ. აქ შვიდი გარდამავალი დროშა იწონებს თავს.

— გადავწყვიტეთ, თქვენი რაიონის შუქ-ჩრდილი ჩვენი მკითხველების წინაშე გამოვფინოთ.

— შუქი კარგია, მაგრამ ჩრდილისა რა მოგახსენოთ! — ღიმილით გვიპასუხა ვახტანგმა.

უშაფათელთა უშაბათკვირო დღეები

საქართველოს მეჩაიეებმა მეათე ხუთწლედის გეგმა პირნათლად შეასრულეს. მათ უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში დაიწყეს მუშაობა, მაგრამ იძალა უამინდობამ. სწორედ ამ დროს ცხაკაიას რაიონის სოფელ **უშაფათის** ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა გამოიჩინეს ინიციატივა და ვალდებულება იკისრეს, უამინდობით გამოწვეული დანაკლისი (1600 ტონა ჩაი) ერთ თვეში — 15 ივნისისათვის დაეფარათ!

ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

უშაფათელებმა მას შემდეგ, რაც ეს ვალდებულება იკისრეს, აღარც კვირადღე იციან და აღარც შაბათი. ჰოდა, საგრაბახოც აქვთ და შედეგებიც, თორემ ზოგიერთს გეგმა და მისი შესრულება უშაბათო კვირისთვის აქვს გადადებული.

ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების რეალიზაციისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს არა მარტო **უშაფათის**, არამედ **ფოცხოს, ხორშისა** და **ლეძეძამის** კოლმეურნეობებმა, **გეჯეთის** ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. სანაქებოდ შრომობდნენ და ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ სოციალისტური შრომის გმირი **თამარ გოგინავა**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ეთერ დადიანი**, მოწინავე მკრეფავები — **მარგო**

მეგობრული შარჟები ბ. ფირცხალავასი

ლუიზა თურქია

ტერენტი ჯალაღონია



ნათელა ბერიძე



ეთერ დადიანი

და მზიური ბუკიები, მერი ვარკაია, გიული ქვარცხავა, გულნარა ჩიჩუა, ვარდო ადამია, ქეთო ხუნწარია, ნინელი გაბელია და სხვები.

„დანაშაულე“ და „სასჯელი“

ჩადენილია „დანაშაული“ და „მითვისებულია“ 18528,2 ათასი მანეთი!..

„საბრალდებო სკამზე“ სხედან „დამნაშავენი“ — მეჩაიეები, მესიმინდეები, მეხალიჩეები და სხვები. მარგო ჩაის ბუჩქების „გაძარცვის“ შედეგად „მითვისებულია“ 10302,5 ათასი მანეთი. „მრავალნაირი მაქინაციის“ საშუალებით საქსოვი ძაფები ქცეულია ნაირფერ ხალიჩებად, გობელენებად. შეინიშნება სახელმწიფოსათვის ოცდათვრამეგნაირი პროდუქციის მიყიდვა-ჩაბარების ფაქტები, ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება, სახელისა და დიდების მოხვეჭა...

აი, ამ „დანაშაულობათა“ შედეგიც: მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება!

ხელოვნება—ხალხის სამსახურში

გასული წლის სექტემბრის ერთ მშვენიერ, 29-ე დღეს, ცხაკაიაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის მონუმენტი, აღიმართა ძველი სენაკის მემორიალური სვეტი, გაიხსნა სურათების გალერეა, სამხატვრო სკოლაში დაირეკა პირველი ზარი, დაიდგა დიდი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის — **აკაკი ხორავას** ბიუსტი.

ცხაკაიელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავიანთ საგამოფენო დარბაზებში ენახათ გამოჩენილი ქართველი მხატვრების — ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, ალექსანდრე ციმაკურიძის, მოსე თოიძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილისა და სხვათა შედევრები.

სურათების გალერეაში დღემდე ექვსი ექსპოზიცია მოეწყო. გამოფენა დაათვალიერა 30 ათასზე მეტმა კაცმა. აქ გამოფენილია აგრეთვე ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრებიც.

ხელოვნების მოყვარულთ მუდმივი ექსპოზიციის შექმნასაც პირდებიან! გაიხსნა გიორგი ჭალადიდელის განახლებული ძეგლი! მოკლე ხანში ქალაქის პარკს დაამშვენებს საბჭოთა კავშირის გმირის — ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი! განზრახულია ცნობილი ლოგბარების — რემა შელეგიას და ნოკო ხურციას ბიუსტების დადგმა! ინტერესით მოელიან მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის „დიდების მონუმენტის“ გახსნას!..

ლენინის ორდენის კავალერი

ეთერ მაქსიმეს ასული **დადიანი** სოფელ **ხორშის** გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მან კარგა ხანია ჩააბარა მეათე ხუთწლედი ისტორიას და მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. უნდა მოეკრიფა 46 ტონა, მოკრიფა 74 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მისი სიტყვა მუდამ მაქსიმუმს ითვალისწინებს, პირობას ხშირად არღვევს, არ ასრულებს დანაპირებს, ნაცვლად 32 ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთლისა, 54 ტონა მოკრიფა!

— მახარებს, რომ მოდის იმედის მომცემი ახალი თაობა, რომელიც წარმატებით შრომობს ჩაის პლანტაციებში! — ამბობს ეთერ დადიანი.

მაქსიმალურად გაიხარეთ, ქალბატონო ეთერ! გაამართლეთ მამათქვენის მაქსიმეს სახელი!

და ჰქმნა არაქნემ...

ლუიზა ოთარის ასული **თურქია** — დაბადებული 1949 წელს, გაუთხოვარი. 1966 წელს დაამთავრა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი და 1967 წლიდან მუშაობს ცხაკაიას

ხალიჩების კომბინატში მუშა-მრთველად. სკკპ წევრია 1970 წლიდან, არჩეულია პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად.

ხალიჩების კომბინატში იგი სხვათა ტერიტორიების „მიმთვისებლად“ და „დამპყრობლადაა“ ცნობილი. რა დაიპყრო ლუიზამ? რით გააოცა თავისი კოლეგები? როგორ მოიხვეჭა სახელი და დიდება?

ხალიჩების კომბინატში დაინერგა ახალი — შჩეკინოველთა მეთოდი. ამ მეთოდის პრაქტიკაში განხორციელება პირველად ლუიზა თურქიას მიანდეს. შეშინდა ლუიზა, ვერ შევძლებო. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: 120-ის ნაცვლად, ეს თითისტარისოდენა გოგონა, 160 თითისტარს უნდა მომსახურებოდა! ამჯერად ადგილი ნებით დაუთმეს. გაიწია ლუიზამ წინ და მოხდა სასწაული: მან საოცარი „დიდმპყრობელური“ ნიჭი გამოიჩინა და, ას მესამოცის ნაცვლად, ორას მეორმოცე თითისტარს რომ მიადგა, გასძახეს: „სდექ, ლუიზა! გეყოფა სხვისი ტერიტორიების დაპყრობა, სხვასაც უნდა მუშაობაო!“ ლუიზა თურქიას სუყველა 240 თითისტარისთვის თავთავიანთი სახელები დაურქმევია! თვითონ ლუიზასთვის კი მითოლოგიური არაქნეს სახელი ნამდვილად უპრიანია!

ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს! ღირსეული ცვლაა საჭირო! ამაოდ ელოდება ლუიზა პროფსასწავლებლებიდან კვალიფიციურ კოლეგებს! ამას, ალბათ, ხალიჩების კომბინატის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს.

შრომითი დიდებით მოსილი

ნათელა ვასილის ასული ბერიძე, დაბადებული 1940 წელს. 1961

წლიდან მუშაობს ხალიჩების კომბინატში. სკკპ წევრია 1977 წლიდან. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, უამრავი სამკერდე ნიშნის, დიპლომისა და სიგელის მფლობელი. საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის მოიპოვა „მეცხრე ხუთწლედის საუკეთესო მუშის“ სახელწოდება.

ნათელა თავის მოქსოვილ ხალიჩაზე იწვევს ყველას... შრომით ჭიდილში!

სიმინდის „მომხვეჭელი“

ტერენტი კონსტანტინეს ძე ჯალალონია — ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდე, დაბადებული 1923 წელს. სკკპ წევრია 1951 წლიდან. **„ეჭვმიტანილია“**: რა სახსრებითა და საშუალებებით იმარჯვებს მუდამ სოციალისტურ შეჯიბრებაში? როგორ ასრულებს პირად ხუთწლიან გეგმებს დიდი გადაჭარბებით? რა მიზნით უმატებს ყოველ წელს თითოეულ ჰექტარზე ხან 5 და ხან 10 ცენტნერ სიმინდს? რატომ არ იკისრა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჰექტარზე 130 ცენტნერ სიმინდზე ნაკლები?

„შენიშნულია“ როგორც შრომისმოყვარე, გამრჯე და ავტორიტეტული კაცი, რისთვისაც სამართლიანად მიეზღო ჯილდოები — მიღებული აქვს ლენინის, „ოქტომბრის რევოლუციის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მრავალი მედალი!..

ფონენდოსკოპს ჩრდილში მივყავართ

რაჭი რაიონის გულისცემა და მაჯისცემა რიტმულია, ახლა ფონენდოსკოპი მოვიმარჯვოთ და „ამოისუნთქე-ჩაისუნთქეს“ ძახილს მოვყვეთ.

— მასე! კარგია! ერთიც! ღრმად, კიდევ ღრმად! რაღაც ხიხინი მესმის, რა გაწუხებთ?

— მიშველი, ვითომ ახლა, მაგალითად, პატივცემულო?

— ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, შევეცდებით, დაგეხმაროთ!

— კარგი, გეტყვით, მაგრამ, იცოდეთ, არსად თქვათ, თორემ სულ აიღებენ ჩვენზე ხელს, დაგვაბეზღაო, იტყვიან.

— რა გჭირთ ასეთი!

— რა მჭირს და, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს **ქუთაისის სამშენებლო ტრესტმა** ჭლექი გამიჩინა, ჭლექი! 1979 წლის ოქტომბერში ცხაკაიაში, გამარჯვების ქუჩაზე, დაიწყო 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საქენერგოს მუშებისათვის. სახლი გეგმით უნდა ჩაებარებინათ მიმდინარე წლის ივნისში და ჯერ მხოლოდ ორი სართულია აშენებული. მშენებლობას ხელს უშლის საკედლე მასალის უქონლობა და ცუდი მექანიზაცია. როგორ უნდა აშენებულიყო სახლი, როცა ქუთაისის მექანიზაციის ტრესტი ოთხ თვეს ამონტაჟებდა კოშკურა ამწეს და როცა დაამთავრა, მერე მიხვდა, ამწე უვარგისი რომ იყო? ამბობენ, იცოდნენ, მაგრამ რა ენაღვლებოდათ სახელმწიფო სახსრებიო!

ასევე გაჭიანურდა სოფელ **ფოცხოს** საშუალო სკოლის მშენებლობაც. იგი საექსპლუატაციოდ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ მთავარი სასწავლო კორპუსი ივნისში, სამშენებლო ტერმინი რომ ვიხმაროთ, ისევ ნულზე იჯდა!

ქარხანა მაცივარს ელოდება!..

ცხაკაიას საკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებულ ფორთოხლის წვენს, რომელიც ყელის გასასველებლად დავლიეთ, მლაშე გემო დაჰკრავდა. მიზეზი რომ ვიკითხეთ, ცრემლია, ბატონო, მაგ წვენში გარეულიო, გვითხრეს. ცეკავშირის გამგეობის წინაშე რაიონის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე დაუსვამს საკითხი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების შესანახავად 800—1000 ტონის ტევადობის მაცივრის გამოსაყოფად, თანაც შეუთვლიათ, ჩვენს ქარხნას 5 მილიონ 200 ათას პირობით ქილაზე რომ გეგმავთ, გამოგვიგზავნეთ მაცივარი და 7 მილიონ პირობით ქილას ჩაგაბარებთო.

ჰოდა, პირობა პირობა უნდა იყოს!

„ოქროს ხელი“

ცხაკაიელ ინიციატორთა სიტყვა მართლაც რომ ნაღდი სიტყვაა. ერთსულოვანი, თავდადებული შრომით მეჩაიეები ფაბრიკებს მწვანე ოქროს აბარებენ, მესიმინდეები სასიმინდეებში სიმინდს ახვავებენ, მეხალიჩეები ხალიჩებს ქსოვენ, მაგრამ აქვე, მათ გვერდით, ამავე რაიონის მკვიდრნი, იმავე ჰაერით მსუნთქავნი და იმავე წყლის მსმელნი, კერძომესაკუთრეობას არჩევენ. ესენი თავიანთ წისქვილს აბრუნებენ და არც რაიონის, არც რესპუბლიკის ავკარგი არ აინტერესებთ.

პარტიის რაიკომთან არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისია მათი საქმიანობით ღრმად დაინტერესდა. მარტო ორი თვის განმავლობაში 22 შინამრეწველი გამოავლინეს. სად არ შეხვდებით მათს ნახელავს. არიან „ოქროს ხელის“ პატრონებიც: ავარიაში მოხვედრილ ავტომანქანას ისე გადამალავენ და შეაკეთებენ, ავტოინსპექცია კი არა, საკუთარი პატრონიც ველარ იცნობს! სამაგიეროდ „ოქროს ხელმა“ საფასურიც ოქროსივე უნდა მიიღოს:

„საქმიანობა“ მრავალნაირი აქვთ გაჩაღებული: კიბის საფეხურების ჩამოსხმა, ელექტროქურებისა და თუნუქის ღუმელების დამზადება, სადურგლო სამუშაოები და ბინათმშენებლობა. ერთი სიტყვით, ისურვე და ყველაფერს გაგიჩენენ, საბანსაც შეგიკერავენ და ტკბილ ძილსაც გისურვებენ! აქ მეწვრილმანე შინამრეწველებიც არიან. ხურდა ფულის მოსაგროვებელ ყულაბებს აკეთებენ და ჰყიდიან, თვითონ კი ქაღალდის ფულის შეგროვებას ამჯობინებენ.

შეკვეთები მიიღება შემდეგ მისამართებზე:

ავტომანქანის დამალვისა და შეკეთების დიდოსტატები:

ბადრი ნოდარის ძე წურწუმია — სოფ. თეკლათი;

როლანდ ანდროს ძე გოგია — სოფ. ფოცხო;

ვასილ ანტონის ძე მამულია — სოფ. ნოსირი;

თენგიზ ვლადიმერის ძე ჟვანია — ქ. ცხაკაია, ჩხეტიას ქ. № 10.

შეუსვენებლად მომუშავე ელექტროშემდუღებლები:

მურმან მიხეილის ძე ლაგარია — სოფ. ძველი სენაკი;

ლევან ვლადიმერის ძე ქვარცხავა — ქ. ცხაკაია, შავი ზღვის ქ. № 3.

შინაურულად მომუშავე დურგლები:

აჩიკო დიმიტრის ძე ქავთარაძე — სოფ. ძველი სენაკი;

ჟორა მიხეილის ძე შურღაია — სოფ. ზანა;

ჯანიკო ვასილის ძე კულუა — სოფ. მენჯი;

თამაზ შოთას ძე ჭითავა — ქ. ცხაკაია, ჯანაშიას ქ. № 3;

გურამ ქრისტეფორეს ძე ფოფხაძე — ქ. ცხაკაია ორჯონიკიძის I შესახვევი № 9.

კიბეზე ამსვლელ-ჩამსვლელთა ხელისშემწყობი (კიბის საფეხურების ჩამომსხმელი და ამწყობი):

თენგიზ ისაკის ძე გოგოლი — ქ. ცხაკაია, გამარჯვების ქ. № 17

ტკბილი ძილისა და საბნების მოყვარული მეზობლები:

გული ილიას ასული ჩაჩავა — ქ. ცხაკაია, ლენინის ქ. № 162;

მარუსია მელიტონის ასული ტაბიძე — ქ. ცხაკაია, ლენინის ქ. № 136;

შურა გრიფონის ასული ალანია — ქ. ცხაკაია, ლენინის ქ. № 191;

ხურდა ფულის ყულაბების მკეთებლები და ქაღალდის ფულის შემგროვებლები:

თედორე ვასილის ძე მუხინი — ქ. ცხაკაია, ხორავას II ჩიხი № 13;

აბესალომ აკაკის ძე კუჭუხიძე — ქ. ცხაკაია, კრუპსკაიას ქ. № 8.

დიზელ-ღუმელის ოსტატი:

ჟორჟ ევგენის ძე გვასალია — ქ. ცხაკაია, ჭალადიდის ქ. № 14.

მივლინებით მოვლენილი სახლთმშენებელი ბოგდანოვკიდან:

ნიკოლოზ სერტაკას ძე ნიკაგაჩანი.

მედუქნე

თუნუქის ღუმელის მკეთებელი და მომხმარებლისაგან შეკვეთის მიმღები **ამირან ექვთიმეს ძე კვესელავა.**

მართალია, თვითონ ჩაწერილი არსად არ არის, მაგრამ დუქანმა რა დააშავა? ზუსტი მისამართი აქვს — ქ. ცხაკაია, გორკის ქ. № 4.

* * *

ისევე როგორც ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში, რაიონსა თუ სოფელში, ცხაკაიაშიც იბადებიან, იზრდებიან, ქორწინდებიან და, თქვენ წარმოიდგინეთ, კვდებიან კიდეც.

რაისაბჭოს აღმასკომმა მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების, ქელეხებისა და რელიგიური რიტუალების აღსაკვეთად მრავალი ღონისძიება განახორციელა, მაგრამ ზოგჯერ მაინც იმართება უსაშველოდ ხალხმრავალი ქორწილები და ქელეხები!

* * *

რაიონი წინ მიდის, უკანმოუხედავად და წინდახედულად. ყველა წარმატებას აქვს თავისი „საიდუმლო“, და ჩვენც საიდუმლოდ ვიტყვით, რომ ცხაკაიელმა მშრომელებმა ამ წარმატებებს, უწინარეს ყოვლისა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, შრომის სწორი ორგანიზაციით მიაღწიეს. მაშ, კვლავ შორს აფრინეთ ცხაკაიური ზლაპრული ხალიჩების სახელი! კვლავ უხვად კრიფეთ „მწვანე ოქრო“! ხვავი და ბარაქა ნუ გამოგელიოთ, სახელოვანო ცხაკაიელო მშრომელებო!

ჟანი სიხარულიძე,
ავთანდილ ბუხრაშვილი,
რევაზ ოსეფაიშვილი,
სოსო გიორგაძე,
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტები.

ელგუჯა მერაბიშვილი
მარიკა გველესიანი

ბეჭედი დამაეჭვებლის!..

მე, ვითარცა მოითხოვს სამსახური ჩემი, ფრიად მიყვარს მავანთა და მავანთა სასახელო საქმეებზ დაწერილი უსახელო ფირმანების კითხვა და სიამოვნებისაგან ნიანგური ცრემლების ღვრა.

ჟამსა თიბათვისასა, ფირმანი რამ მაახლეს **თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბორბალოდან,** უსახელო, ოღონდ დასახელებულ ფაქტთა რიცხვით ეგზომ საგულისხმო. წავიკითხე იგი ფირმანი და შევჩქვიფდი ფრიად. მალემსრბოლი ვაფრინე ბორბალოს, რამეთუ შემწეობას მთხოვდა არასახელდებული ფირმანის ავტორი — მძრახველი სოფლის სამოხელეო სამსახურისა.

თეთრი წყაროს გავლით ბორბალოს მიიჭრა ჩემი ომბალონაჭამი მალემსრბოლი და **ბუნვე** უკუიქცა და შემოვიდა ტფილისს მრავლითა ცნობითა ხელდებულითა და ბეჭედდასმულითა ხელდამშვენებული და მაუწყებდა მალემსრბოლი ამბავთა, მიკითხავდა ქაღალდსა სოფლის მდივნის ნაწერსა და თავმჯდომარის ბეჭედდასმულსა.

„ცნობა მიეცა ლამარა ალექსის ას გოგაშვილს მასზედ, რომ საკომლო წიგნების ჩანაწერებით იგი ჩაწერილია მუდმივ საცხოვრებლად სოფელ ერტისში თავის მშობლების ოჯახში 1978 წლის აგვისტოს თვიდან“. (აქაც და სხვაგანაც სტილი დაცულია).

„ალმასკომმა გადაწყვიტა: უფლება მიეცეს სახ. საბჭოს მდივანს ამხ. მ. დ. ლევანიშვილს შეიტანოს საკომლო წიგნში და ჩაწეროს მშობლებთან მოქ. ლამარა ალექსის ასული გოგაშვილი თანახმად მშობლების მიერ დაწერილი ხელწერილისა“. (გადაწყვეტილება სახ. დეპუტატთა ბორბალოს სახ. საბჭოს ალმასკომის სხდომისა № 74. 1978 წლის 13 სექტემბერი).

„ცნობა მიეცა მოქ. ლამარა ალექსის ას. გოგაშვილს მასზედ, რომ მან მუშაობა დაიწყო ბორბალოს ს-მეურნეობის № 4 ბრიგადაში მუშად 1978 წლის მაისის თვიდან, რომელიც ამოეწერა ქ. რუსთავიდან და ჩაეწერა თავის მშობლებთან მარუსა ამირანის ასულ ექიზაშვილის ბინაში, 1979 წლის 6 აპრილს სოფ. ერტისში“.

ამ ნაწერებით გაკვირვება აღარ მაცალა მალემსრბოლმა, ზეპირ მაუწყა უფრორე უცნაური ამბავნი: **ლამარა ალექსის ასული** მართლაც ამოწერილაო რუსთავში, მცხეთის ქ. № 6-ში მობინადრე საკუთარი ოჯახიდან და ჩაწერილა ერტისში 1979 წლის 6 აპრილსო. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი კი უფრო ადრე — 1978 წლის დეკემბერში მიუციათო, მაგრამ ეს კიდევ არაფერიო, **ვანო აღდგომელაშვილისთვის** გამოურთმევიათო ის ნაკვეთი, ახსნა-განმარტებითა და დარიგებითაო, ნაკვეთი და მერე როგორიო, მსხმოიარე ვაზითა და ხეხილით სავსეო, მაშინ როცაო სოფლის მესვეურებსაო **მიკირტუმაშვილ შამირასთვის** გადმოწეული ღობე უკან ვერ შეუწევინებიათო.

საოცარი კიდევ ის არისო, რომ იმ ზღაპრისა არ იყოს, დედინაცვალმა რომ გერს პური გაატანა, ამვლელსაც აპამე, ჩამვლელსაც და შინ ისევ მთელი მოიტანეო, ვანოს საკარმიდამოსაც ასე მოსვლიაო, წლების მანძილზე როგორც ეწერა, ამჟამადაც საკომლო წიგნში მას კვლავ 0,25 ჰექტარი უწერიაო.

არ ვუჯერებდი მალემსრბოლსა, მაგრამ დამარწმუნა: ყველაფერს ბეჭედი აზის და ბიჭი ხარ, ნუ დაიჯერებო! მეც დავიჯერე, მაგრამ ფრიად დამაეჭვებდის ბეჭედი!..

ბარათები ნიანგს

რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?!

შენ გწერთ, მოწყალე ნიანგო,
ჩვენ, უწყლო ვაქირელები,
ვიცით, ხარ ყველას დამხმარე
და ყველას თავზე ევლები!

ლაგოდეხიდან ვაქირში
წყალს ველით ათი წელია!..
თხრილში ჩაყრილი ახალი
მილები უკვე ძველია!..

ორი აუზის აგებას
სამ წელზე მეტი დასჭირდა!..
ვფიცავთ, აქამდე სასმელ წყალს
გამოვიყვანდით რაჭიდან!

რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?!
ლოდინმა გული დაფლითა!
წამოგვეხმარე, ნიანგო,
შენი მახვილი ჩანგლითა!

ვალერიან მოსაშვილი
(სიღნაღის რ-ნი, სოფ. ვაქირი)

მგალობლიშვილის ქუჩის ცრემლიანი მონოლოგი

თბომშენებლებმა რა ხანია
ამთხარ-დამთხარეს,
თავისი საქმის მიფუჩეჩება
ძლივს მოამთავრეს,

მე კი, მე, ბოღმით უნელებელი
ცეცხლი მედება,
მოყვასისაგან უცრემლოდ აღარ
შემეხედება!

როდემდე გავძლო, ვიყო მე ასე
გამოშიგნული?!
როდემდე ვლეწო ორმოებში
„ვოლგა“, „უიგული“?!

რამდენ კრულვასაც
თბომშენებლობის
ვაი-თავკაცებს
უგზავნის ხალხი, უფალსა
შევთხოვ,
მიზანს არ ასცდეს!

ჟიშვარდ ისაკაძე
(ქ. თბილისი)

ნახ. ჯ. ლოლუასი

— როგორ გადახვედი მაქეთ?!
— მე აქეთ დავიბადე!

იქნებ შენ მაინც ნახო, ნიანგო?!

ამ ხუთიოდე წლის წინათ გაზეთებში დაიბეჭდა წერილი, ვითომდა **თიანეთში „მოჩუხჩუხებს 13 კილომეტრის სიშორიდან გამოყვანილი არტნის წყარო!“**

მკითხველებს მართალი ეგონებოდა, მაგრამ სინამდვილეში?

გვსურს, გითხრათ კონკრეტულადა,
საქმე არ გავაზვიადოთ:
ჩვენს თიანეთშიც ამოდი,
შენი ჭირიმე, ნიანგო!
სასმელი წყალი დავკარგეთ,
იქნებ შენ მაინც მიაგნო?!
იქნებ იხილო, წყალსადენს
სადაც ეწყება სათავე,
რამდენი დარჩა აუზი,
იქ გულმოდგინედ დათვალე!

იქნება ნახო, „ოსტატებს“
თუ რა აქვთ გაკეთებული,
რომ ლისოს ნარეცხი წყლები
ჭებშია შეერთებული,
რამდენგან არის ონკანი
გამსკდარი, გაუქმებული!..
იქნებ გაიგო ამ წელში, —
და ეს ნუ გაგიკვირდება, —
ოცი ათასი მანეთის
რეკონსტრუქცია სჭირდება!
მაშ, შენც გვითხარი: ამ საქმით
გული არ უნდა გვტკიოდეს?!
წყალი გვწყურდეს, იორი
გვერდზე კი ჩამოგვდიოდეს?!.

იოსებ დარაშვილი
(თიანეთის რ-ნი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ურჩხული" — კულტურის პარკში!..

თბილისის ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი რომ ზოოპარკი არ გახლავთ, ეს, ალბათ, **ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოშიც** კარგად მოეხსენებათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ მაინც დასაშვებად მიიჩნიეს, რომ პარკის ტერიტორიაზე ოდესღაც დაბუდებული „ცხრაფეხა მყრალი ურჩხული" ისევ ურჩხულად დარჩენილიყო და სიმყრალით მოეწამლა დამსვენებლები თუ ტელმანის ქუჩაზე მცხოვრებნი.

პირველად პარკში ჩასახლებული ურჩხული „ნიანგმა" ლოკატორით 1976 წელს აღმოაჩინა.

— ეს სულაც არ გახლავთ ურჩხული, წყალსატუმბავი სადგურიაო! — შეიცხადეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, — თანაც 1898 წლიდან აქ ბინადრობს და რაღა ახლა გახდა სიბინძურისა და ანტისანიტარიის კერაო?!

„ნიანგმა" მაშინ იფიქრა, იქნებ შორეული ხედვის თვალი მატყუებსო, ლოკატორი მოიხსნა და გადაწყვიტა, ახლოს გაცნობოდა კულტურისა და დასვენების პარკის ამ უცნაურ ბინადარს...

თავდაპირველად იგი მართლაც წყალსატუმბავი სადგური ყოფილა და, თურმე წყლით ამარაგებდა საორთქლმავლო დეპოს. ცხადია, ორთქლმავლის ქვაბებში მხოლოდ სუფთა წყალი ისხმებოდა, რაც არტეზიული ჭებიდან იწოვებოდა. მაგრამ შემდეგ ჭებში მარილიანი წყლები შეპარულა, რაც მავნე იყო ორთქლმავლის ქვაბებისათვის, ამიტომ ტუმბოს წყალშემწოვი ხრუტუნა ღია მტკვარში გადაუტანიათ, თანაც იმ ადგილის მახლობლად, სადაც საკანალიზაციო არხები უერთდებიან მდინარეს.

წყალსატუმბავ სადგურს 7 აუზი ჰქონდა. ადრე ისინი წყლის მარაგის შესაქმნელად იყო გათვალისწინებული, მაგრამ რაკი მტკვრიდან საეჭვო შეფერილობის ჭუჭყიანი წყალი ამოწოვა ხრუტუნამ, ეს აუზები სალექარებად ანუ სიბინძურის კერებად იქცა.

აი, აქედან იწყება წყალსატუმბავის ურჩხულად გადაგვარება. მისი დამსკდარი გვერდებიდან წყლისმაგვარი სითხე ჟონავს და მისი ანაორთქლი ქღენთავს მახლობლად მდებარე საცხოვრებელი სახლების კედლებს და ოთახებში ზაფხულობით ფრიად უსიამოვნო სუნი შემოაქვს...

„ნიანგის" შემდეგ პარკის ამ საშიშ ბინადარს **საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიაქცია ყურადღება,** მერე კი საკითხის განხილვამ სხვადასხვა ინსტანციებში გადაინაცვლა, გამოიყო კომისია. ბოლოს გადაწყდა, დაუყოვნებლივ მოეშორებინათ მშრომელთა დასვენების ამ მშვენიერი ადგილიდან ეს საშინელება.

აი, ამ გაუთავებელი მიმოწერის ბოლო აკორდი: **„ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. ლ. გ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორს ამხ. ტ. გ. ჯ ა ბ ა უ რ ს.**

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამიერკავკასიის რკინიგზის წყალსაქაჩი, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის გვერდით მდებარეობს, ლიკვიდაციას ექვემდებარება.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი გთხოვთ გვაცნობოთ ზემოხსენებული წყალსაქაჩის ლიკვიდაციის თარიღი" — წერია ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიმართვაში.

პასუხად კი მხოლოდ დუმილია.

კულტურის პარკთან კი კვლავ ნებივრობს ბინძური „ურჩხული" და მოშინაურებულივით კუდს უქიცინებს გამვლელ-გამომვლელს!..

არდაინდო არდაშენია



უსიტყვოდ — **ნახ. გ. ფირცხალავასი**

ინტერვიუ ბილეთიან მგზავრთან

— რა გრძნობა დაგეუფლათ, ბილეთი რომ აიღეთ?

— გონება დავკარგე!.. შემდეგ, მახსოვს, ბილეთს დავცქეროდი!... საოცრად მომინდა ჩემიანებთან ყოფნა!..

— რომელი ხელით მოხიეთ ბილეთი?

— აღარ მახსოვს! სალაროსთან რომ მივედი, ძალიან ვღელავდი! გონს რომ მოვედი, ბილეთი მარჯვენა ხელში მეჭირა!..

— დიდი ხანია ოცნებობდით ბილეთის აღებაზე?

— რა თქმა უნდა! ბილეთის აღება დღეს არ მომსვლია აზრად! ბავშვი ვიყავი, გაზეთში რომ წავიკითხე წერილი გმირ მგზავრზე, რომელმაც მსოფლიოში პირველად, უკონდუქტორო ავტობუსში, აიღო ბილეთი! იმის მერე მეც გადავწყვიტე, თუნდაც ერთხელ გამექროლა ბილეთით ხელში!..

— ხომ არ იგრძენით ჟანგბადის ნაკლებობა, ბილეთით ხელში წინ რომ გაიარეთ?

— სანამ რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამდი, ჰაერი არ მყოფნიდა, მაგრამ ამან მალე გამიარა!..

— ავტობუსში რომ ახვედით, მაშინვე აიღეთ ბილეთი, თუ გარკვეული ხანი დაიცადეთ?

— მაშინვე როგორ ავიღებდი?! ხომ უნდა შევგუებოდი ახალ გარემოს?! ან უცებ როგორ მოვახერხებდი სალარომდე მისვლას იმდენ ხალხში?!.

— ზუსტად დანიშნულ ადგილას ჩამოხვედით ავტობუსიდან?

— დაახლოებით სულ ორი გაჩერებით გავცდი დანიშნულ ადგილს. ეტყობა, ცოტა ადრე უნდა დამეწყო ჩასვლის მანევრები.

— ყველაფერი პროგრამის მიხედვით წარიმართა, თუ მოხდა რაიმე ცვლილებები?

— თითქმის ყველაფერი პროგრამის მიხედვით წარიმართა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ უმნიშვნელო დეტალს: ჩასვლისას პერანგზე ამაწყდა ღილი, პროგრამის მიხედვით კი მხოლოდ პიჯაკზე უნდა ამწყვეტოდა ღილი, ისიც ასვლისას!

— კიდევ აპირებთ თუ არა ბილეთის აღებას?

— რა ვიცი, შეიძლება ერთხელაც ვცადო!...

— რას უსურვებდით ჩვენს მკითხველს?

— არ შეიძლება, მგზავრობდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით და, ბილეთით ხელდამშვენებულმა, ერთხელ მაინც არ გადახედო სამყაროს. ეს სულ სხვა გრძნობაა!

ბასა ბებია

ფერილების კვალდაკვალ

შესაკეთებელია გ ზ ე ბ ი, ნაკლოვანებებია სატრანსპორტო მომსახურების საქმეში, ცხვება უხარისხო პური! — სწერდნენ „ნიანგის" რედაქციას **ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთიდან.**

სახალხო დეპუტატების ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს, რომ აღმასკომმა მიმდინარე წლის აპრილში განიხილა საკურორტო სეზონისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი და მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელა საკურორტო სოფლების (მათ შორის — ქვიშხეთის) კეთილმოსაწყობად.

ქვიშხეთის პურის საცხობი ხშირად არასტანდარტულ პროდუქციას უშვებდა, რაზეც იმსჯელა კიდეც რაიკოოპერატივის გამგეობამ. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გომის პურის საცხობის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ქვიშხეთის ფურნე დაიხურა და სოფლის მოსახლეობა ახლა გომიდან მარაგდება.

ქვიშხეთელთა სატრანსპორტო მომსახურებას აფერხებდა ცუდი სასოფლო გზები. ეს მდგომარეობა მთლიანად გამოსწორდება ქვიშხეთი-ბულბულისციხის მიმართულებით წყალგაყვანილობის სამუშაოების დამთავრებისა და გზის კაპიტალურად შეკეთების შემდეგ.

სოფლის ს ა ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ო საკითხებზე სწერდნენ რედაქციას, აგრეთვე, **გორის რაიონის სოფელ ქვემო სობისიდან.**

როგორც სახალხო დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, ქვემო სობისის კოლმეურნეობის გამგეობას გათვალისწინებული აქვს მიმდინარე წელს ააშენოს საბავშვო ბაღი, აბანო და საპარიკმახერო.

ᲘᲛᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ, რომ მილიტარიზაციის ახალი ტალღა შეიძლება ხალხთა მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდეს, დასავლეთის რეაქციული წრეები კვლავ ბერავენ მითს „კომუნისტური მუქარის“ და „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომბიძისა



რეაქციის მითითებით

ᲕᲣᲛᲚᲔᲠᲝᲗ... ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲡ!

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ საესტრადო მომღერალმა ფრენკ სინატრამ საღამოზე მიიწვია თავისი მეგობრები არტისტული სამყაროდან. მაგრამ წვეულებაზე მოსული მეგობრები სახტად დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ ისინი, უბრალოდ, როგორც იტყვიან, გააპამპულავეს: საპატიო სტუმრებს ელოდათ უღიმღამო საღამო, რომელიც მოეწყოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელთა პარტიიდან ასარჩევი კანდიდატობის პრეტენდენტს **რ. რეიგანის** არჩევნებისწინა კამპანიის ფონდში სახსრების შეგროვების მიზნით. მათი როლი მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ამ პარტიის გავლენიანი მომხრენი მიეტყუებინათ წვეულებაზე. როგორც ინგლისური ჟურნალი **„ნაუ!“** აღნიშნავს, ესტრადის მომღერლები და მსახიობები ცენტრალურ ფიგურებად გამოდიან იმ მრავალ სარეკლამო პოლიტიკურ შოუში, რომლებადაც ახლა სულ უფრო ხშირად გადაიქცევა ხოლმე არჩევნებისწინა კამპანიები ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა, რაც მართალი მართალია, ყველა „ვარსკვლავი“ უბრალოდ როდი თანხმდება აგიტაცია გაუწიოს ამა თუ იმ პრეტენდენტს. ასე, მაგალითად: რესპუბლიკელ **ჯ. ბუში** ცოტას როდი გაისარჯა, რათა საამისოდ დაეყოლიებინა ანსამბლი **„ბიჩ ბოიზი“**, ხოლო დემოკრატი ე. **კენედი** — **„ბლონდის“** პოპ-ჯგუფის სოლისტი ქალი **დ. ჰარი** — მონაწილეობა მიეღო თავის კამპანიებში. **„საინტერესოა, ჩვენი ლულუ (ინგლისელი ესტრადის მომღერალი ქალი) დათანხმდება თუ არა გამოვიდეს ტეტჩერის მხარდასაჭერად 1984 წლის არჩევნებში?“** — ირონიულად შენიშნავს **„ნაუ!“-ში** გამოქვეყნებული სტატიის ავტორი.

„ᲖᲐ ᲠᲣᲑᲔᲭᲝᲛ“

ᲛᲐᲠᲙ ᲢᲕᲔᲜᲘ

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

●

ᲩᲔᲛᲘ თავი გენერალ გრანგს წარუდგინეს. მუ ვუთხარი, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით-მეთქი! მან კი მიპასუხა, სამწუხაროდ, იგივეს ვერ დავიკვეხნიო!

●

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ კვამლია, წარმაგება — შემთხვევითობა. ერთადერთი საიმედო ქვეყნად ისაა, როცა შენთვის ხარ და კაცი-შვილი არ გიცნობს!

●

ᲩᲔᲛᲘ წიგნები წყალია, დიდი გენიოსებისაკი — ღვინო. წყალს ყველა ეგანება.

●

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ არ არის ზამთარი, არც გაზაფხული და ზნეობა. სხვა მხრივ შესანიშნავი ქვეყანაა.

●

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ სამყაროს შექმნის ბოლო დღეს შეიქმნა, როცა ღმერთი უკვე გადაღლილი იყო.

●

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ შექმნა ფრიად ორიგინალური და დიდებული აზრი იყო, მაგრამ ამის შემდეგ ცხვრის შექმნა უკვე გამეორებაა.

●

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ რომ ადამიანს შეექმნა, ნამდვილად შერცხვებოდა, ეს რა გამიკეთებიაო!

●

ᲙᲐᲠᲒᲘ მეგობრები, კარგი წიგნები და მთვლემარე სინდისი! — აი, ნამდვილი იდეალური ცხოვრება.

●

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ მეგობარი შენთან არის, როცა მართალი არა ხარ! როცა მართალი ხარ, მაშინ ყველა შენთანაა!

●

ᲠᲝᲪᲐ გვახსენდება, რომ ყველანი გიჟები ვართ, მაშინ ცხოვრებაში ქრება ყოველგვარი უცნაური და ყველაფერი გასაგები ხდება.

ინგლისურიდან თარგმნა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲐ:

ᲯᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ
ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ
ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲕᲐᲠᲐᲫᲔ
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲝᲚᲣᲐ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ
(ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ-ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ)
ᲑᲔᲥᲐᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ
(ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ)
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐ
ᲒᲘᲒᲚᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ
ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲘᲕᲧᲘᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓ. ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ)
ᲜᲐᲤᲘ ᲯᲣᲡᲝᲘᲗᲘ

●

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

●

ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ 21/VII 80 წ.
ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ 28/VIII 80 წ.
ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ 70×108 1/8
ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ 2
ᲡᲐᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 1,7

●

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის ქ. № 14, შეკვეთა № 2109 უე 13806
ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 150.950
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი რედაქტორის — 93-62-04, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ